

შპს „სანალია“-ს

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „სანალია“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს სანალია				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
	ერთეული: I GEL			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	64425	9073	14884	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	72702	11307	22379	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	306961	333514	271323	3.3
მარაგები	374949	363215	362521	3.4
მზა პროდუქცია	0	0	0	
სხვა	374949	363215	362521	
საინვესტიციო ქონება	0	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	23243	0	2617	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	0	
გუდვილი	0	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	1490	1703	0	
ძირითადი საშუალებები	3177995	3383000	3827717	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0	
სულ აქტივები	4021765	4101812	4501441	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	0	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	22920	2982	5381	
ანარიცხები	0	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	744	0	0	
საგადასახადო ვალდებულებები	34494	14001	0	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	4032450	4682616	4264700	3.6
მიღებული გრანტები	0	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	728	591	
სულ ვალდებულებები	4090608	4700327	4270672	
საკუთარი კაპიტალი				
				3.7
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	3395108	3395108	3395108	
საემისიო შემოსავალი	0	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-3463951	-3993623	-3164339	
გადაფასების რეზერვი	0	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	-68843	-598515	230769	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4021765	4101812	4501441	
სულ მოკლევადიანი აქტივები	539480	398045	415283	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	58158	17711	5972	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.10.2022 წ.				
დირექტორი _____ სულიკო მახარაძე				
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „სანალია“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს სანალია				
საქმიანობის შედეგები				
		ერთეული: 1 GEL		
საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020	შენიშვნა	
ნეტო ამონაგები	1043040	736329	3.8	
საქონლის გაყიდვიდან	0	0		
მომსახურების გაწევიდან	1043040	731246		
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	0	0		
სხვა	0	5083		
გაყიდვების თვითღირებულება	0	0		
საწყისი მარაგები	0	0		
მარაგების შესყიდვა	0	0		
გაღამუშავების დანახარჯები	0	0		
საბოლოო მარაგები	0	0		
საერთო მოგება	1043040	736329		
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2768	0		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-214312	-214441		
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-284092	-454906		
საპროცენტო შემოსავალი	9044	8623		
საპროცენტო ხარჯი	-169120	-171926		
იჯარის ხარჯი	0	0		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-150976	-125566	3.9	
სულ საოპერაციო ხარჯები	-806688	-958216		
საოპერაციო მოგება	236352	-221887		
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:				
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გა	213729	-607390		
მიღებული დივიდენდები	0	0		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-6602	-7		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	443479	-829284		
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	443479	-829284		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რე	0	0		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	443479	-829284		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-598515	230769		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში	0	0		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	86193	0		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-68843	-598515		
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.10.2022 წ.				
დირექტორი _____	სულიკო მახარაძე			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „სანალია“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს სანალია			
ფულადი სახსრების მოძრაობა			
	ერთეული: 1 GEL		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020	
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	563152	396190	
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0	
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-507800	-402001	
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	55352	-5811	
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9073	14884	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	64425	9073	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.10.2022 წ.			
დირექტორი _____	სულიკო მახარაძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „სანალია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2000 წლის 7 მარტს შუახევის რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 06/4-22. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 247860998, იურიდიული მისამართი - საქართველო, შუახევის რაიონში, სოფ.მახალაკიძეები. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. საანგარიშგებო წლის დასასრულისთვის, 2021 წლის 31 დეკემბერს, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო შპს „ჩირუხ-სანალიას ჰესი“ (ს/ნ 404886423), რომლის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ფ/პ დევიდ შიტრიტი (3-4117804-4, 29447424 - ისრაელი). საანგარიშგებო წლის დასრულების შემდეგ, 2022 წლის 21 იანვარს, საქართველოს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა შპს „ჩირუხ-სანალიას ჰესის“ (ს/ნ 404886423) და შპს „სანალიას“ (ს/ნ 247860998) შერწყმა. აღნიშნული რეორგანიზაციის (შერწყმის) შედეგად შპს „სანალიამ“ (ს/ნ 247860998) შემოირჩეა შპს „ჩირუხ-სანალიას ჰესი“ (ს/ნ 404886423).

შედეგად, წინამდებარე ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ დევიდ შიტრიტი (3-4117804-4, 29447424 - ისრაელი).

1.3. კომპანიის დირექტორია ფ/პ სულიკო მახარაძე (პ/ნ 61010000278).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება ჰიდროელექტროსადგურის მიერ და მისი რეალიზაცია.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სესხის გაცემა, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს ერთ ლოკაციაზე - საქართველო, შუახევის რაიონში, სოფ.მახალაკიძეები (სადაც მდებარეობს ჰიდროელექტროსადგური).

1.5. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2021 წელს შეადგენდა 17 ადამიანს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები

და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება

დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით..

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც

დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.5040 ლარი;

1 EUR=3.0976 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2021 წელს: 1 USD=3.22 ლარი; 1 EUR=3.8124 ლარი.

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

კომპანიის ფულადი სახსრები მთლიანად შედგება კომპანიის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში არსებული თანხისაგან.

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მთლიანად შედგება საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მთავარი პარტნიორის - „ჯორჯიან მანგანუმის“ მიმართ არსებული მოთხოვნისაგან.

3.3. სხვა პირებზე გაცემული ავანსები და სესხები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	3707	13414	12180
შეცდომით გადარიცხული თანხები	0	700	700
ანგარიშსწორებანი საპენსიო სააგენტოსთან	119	0	2
წინასწარ ანაზღაურებული და ზღვევა	335	335	0
მისაღები პროცენტები		14064	5442
გაცემული გრძელვადიანი პროცენტიანი სესხები	302800	305000	253000
სულ:	306961	333513	271324

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნედლეული და მასალები	12787	1120	779
საწვავ-საცხები მასალები	2687	2619	2267
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ჯარტი	359475	359475	359475
სულ:	374949	363215	362521

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	10940	0		10940	0		10940
ძირითად საშუალებებზე დასამატებელი მომსახურება	70281	70281					
შენობები	442425	0	32649	475074	0	32649	507723
ნაგებობები	439055	4025	41036	476066	0	40919	516985
მანქანა-დანადგარები	172478	0	36168	208646	0	36168	244813
თბოტექნიკური და ტურბინული მოწყობილობები	1812397	0	139063	1951461	0	278138	2229599
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	141415	0	11394	152808	0	22788	175596
ელექტროგადამცემის საშუალებები	45603	0	15709	61312	0	31528	92840
მილსადენები	29680	0	3189	32869	0	6378	39246
ძალადგანი მანქანები და მოწყობილობები	0	0	301	301	0	875	1176
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	7105	0	1601	8706	5026	1093	4773
კომპიუტერული ტექნიკა	295	0	207	502	0	262	764
ინვენტარი	2031	2241	210				
მსუბუქი ავტომობილები	0	0		0	0		0
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	4289	2369	2395	4316	5163	4109	3262
სულ:	3177995	78916	283922	3383000	10190	454906	3827717

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

შპს „სანალია“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანია დაფუძნებულია 2000 წელს. მისი ზოგიერთი ძირითადი საშუალება უკვე ბევრი წელია მის მფლობელობაშია. ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს - 3326451 ლარს,

2020 წლის ბოლოს - 3042529 ლარს,

2019 წლის ბოლოს - 2587623 ლარს.

3.6. გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ანგარიშსწორებანი ლარებში	216231	539474	872073
ანგარიშსწორებანი ევროებში EURO		1399573	1087267
ანგარიშსწორებანი აშშ დოლარებში USD	3816219	2743569	2305360
სულ:	4032450	4682616	4264700

3.7. საკუთარი კაპიტალი:

კომპანია დაფუძნებულია 2000 წელს. შესაბამისად მისი დაგროვილი ზარალი ფორმირებულია მისი დაფუძნების პერიოდიდან.

3.8. ნეტო ამონაგები:

კომპანიის ამონაგები მთლიანად შედგება წარმოებული ელექტროენერგიის მიწოდებიდან.

3.9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2021 წელი	2020 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა		85
დამხმარე მასალების დანახარჯები / შეძენა	753	31
საწარმოო დანიშნულების რემონტის ხარჯები	1522	
სხვა საერთო-საწარმოო ხარჯები		1319
მარკეტინგული ხარჯები	96	504
ელექტროენერგიის მიწოდებისას წარმოქმნილი დანაკარგები	37954	29258
მიწოდების სხვა ხარჯები	3515	3213
ელექტროენერგიის ხარჯები	450	331
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	84	210
მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები	60	
საკანცელარიო ხარჯები	149	305
კომპიუტერის ხარჯები	17	125
კომუნიკაციის ხარჯები	1774	2108
დაზღვევის ხარჯები, გარდა პერსონალის დაზღვევაზე გადახდილისა	18459	18454
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	9738	4194
გაზის ხარჯი (საერთო-ადმინისტრაციული)	109	
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	12600	1000
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	22881	14407
საფოსტო-საკურიერო მომსახურების ხარჯი	55	57
საგადასახადო ხარჯები	35144	38664
საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)	288	275
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები (გარდა ავტომანქანებისა)	22	118
ავტომანქანების რემონტის ხარჯები		
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	939	1263
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	3358	4866
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები		473
სასტუმროს მომსახურება		225
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	1009	4080
სულ:	150976	125565

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2022 წლის 1 იანვრიდან 3 ოქტომბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 3 ოქტომბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს სანალია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	64425	9073	14884	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	72702	11307	22379	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	306961	333514	271323	3.3
მარაგები	374949	363215	362521	3.4
მზა პროდუქცია	0	0	0	
სხვა	374949	363215	362521	
საინვესტიციო ქონება	0	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	23243	0	2617	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	0	
გუდვილი	1490	1703	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	3177995	3383000	3827717	3.5
ძირითადი საშუალებები	0	0	0	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0	
სულ აქტივები	4021765	4101812	4501441	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	0	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	22920	2982	5381	
ანარიცხები	0	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	744	0	0	
საგადასახადო ვალდებულებები	34494	14001	0	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	4032450	4682616	4264700	3.6
მიღებული გრანტები	0	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	728	591	
სულ ვალდებულებები	4090608	4700327	4270672	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	3395108	3395108	3395108	
საემისიო შემოსავალი	0	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-3463951	-3993623	-3164339	
გადაფასების რეზერვი	0	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	-68843	-598515	230769	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4021765	4101812	4501441	
სულ მოკლევადიანი აქტივები	539480	398045	415283	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	58158	17711	5972	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.10.2022 წ.

დირექტორი

ს. ადჯარიანი
S. Adjarian A.R. LTD.
სანალია
SANALIA

სულიკო მახარაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილად.

შპს სანალია

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	1043040	736329
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	1043040	731246
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	5083
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1043040	736329
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2768	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-214312	-214441
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-284092	-454906
საპროცენტო შემოსავალი	9044	8623
საპროცენტო ხარჯი	-169120	-171926
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-150976	-125566
სულ საოპერაციო ხარჯები	-806688	-958216
საოპერაციო მოგება	236352	-221887
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასების მიღებული დივიდენდები	213729	-607390
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-6602	-7
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	443479	-829284
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	443479	-829284
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და შეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	443479	-829284
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-598515	230769
ახალი ქვების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კა	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	86193	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-68843	-598515

შენიშვნა
3.8

3.9

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.10.2022 წ.

დირექტორი

თანმშენებლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



ფულადი სახსრების მოძრაობა

ერთეული: 1 GEL

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	563152	396190
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-507800	-402001
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	55352	-5811
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9073	14884
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	64425	9073

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.10.2022 წ.

დირექტორი _____



სულიკო მახარაძე

თანმზღვრები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.